სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 4 23 0000334662

23/03/2023

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სასწავლო შახტა-ლაბორატორიაში ვაკანტურ თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2016 წლის 29 ივნისის #12 სხდომის #1 დადგენილების და სტუ-ს სამთო გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანის 2023 წლის 09 მარტის სამსახურეობრივი ბარათის (271970) საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სასწავლო შახტა-ლაბორატორიაში, მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად.
2. დამტკიცდეს საკონკურსო მოთხოვნები და კანდიდატის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დანართი 1-ის შესაბამისად.
3. შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ანზორ აბშილავა - პროფესორი, სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, კომისიის თავმჯდომარე;

ირაკლი გუჯაბიძე - პროფესორი, სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის სამთო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი;

ნანა ნიორაძე - სტუ-ს ადამიანური კაპიტალის მართვის დეპარტამენტის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის წევრი.
4. შეიქმნას საკონკურსო კომისიის სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:
ხათუნა ვეფხვაძე - სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი;
ნანა დოლიძე - სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი.
5. შეიქმნას საპრეტენზიო კომისია შემდეგი შემადგენლობით:
გელა მაჩაიძე - სტუ-ს სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის პროფესორი, კომისიის თავმჯდომარე;
გვანცა გეწაძე - სტუ-ს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
ნანა პაპასკირი - სტუ-ს ადამიანური კაპიტალის მართვის დეპარტამენტის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის წევრი.
6. კანდიდატმა განცხადება უნდა წარმოადგინოს 2023 წლის 27 მარტიდან 04 აპრილის ჩათვლით საკონკურსო კომისიის სამდივნოში, უნივერსიტეტის მე-3 სასწავლო კორპუსის მე-3 სართულზე, ოთახი N306 (მის: ქ.თბილისი, მ.კოსტავას ქ.N77).
7. გასაუბრება ჩატარდეს 2023 წლის 10 აპრილს. გასაუბრების ჩატარების დროის, ადგილისა და სხვა კონკრეტული საკითხების შესახებ დამატებითი ინფორმაცია გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
8. კანდიდატებს გასაუბრების შედეგები ეცნობოთ არაუგვიანეს 2023 წლის 11 აპრილს.
9. პრეტენზიების თაობაზე განაცხადები მიიღება 2023 წლის 18 აპრილის ჩათვლით, საპრეტენზიო კომისიაში, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართულზე ოთახი N206 (მის: ქ.თბილისი, მ.კოსტავას ქ.N77).
10. კონკურსის საბოლოო შედეგების წარმოდგენის ვადად განისაზღვროს 2023 წლის 25 აპრილი.
11. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და მისი გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს საქმისწარმოების დეპარტამენტმა.
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).



რექტორი
გურგენიძე დავით